პროლეტარებო ყველა ქვეყნისაო, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 171 (13863)

კვირა, 23 ივლისი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

23 ივლისი ვაჭრობის მუშაკის დღეა

მოგილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

მიმდინარე ხუთწლედში ეკონომიკის ზრდისა და შრომის ნაყოფიერების გაიდიდების საფუძველზე ხორციელდება ღონისძიებანი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. დასახულია მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხელფასის, საზოგადოებრივი მეურნეობისაგან კოლმეურნეთა შემოსავლის შემდგომი ზრდა. მაღლდება მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე. ხორციელდება ღონისძიებანი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი.

რესპუბლიკის ვაჭრობის მოწინავე მუშაკების ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) — საქვაჭრობის ზუგდიდის გასტრონომიული მაღაზიის გამგე, ორდენოსანი ნ. ცხაკაია, გორის უნივერმაღის სექციის გამგე, ორდენოსანი ე. ჯაფარიძე, თბილისის მეორე უნივერმაღის უფროსი გამყიდველი, რესპუბლიკის ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი ს. ორაბელიძე, რესტორან „მთაწმინდის“ ბრიგადირი ს. სხირტლაძე, რუსთავის სასადილოების ტრესტის № 18 სასადილოს წარმოების გამგე, რესპუბლიკის ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი დ. ჩაჩხიანი, მარჯვენა სანაპიროს თბილკვებვაჭრობის № 115 მაღაზიის დირექტორი, რესპუბლიკის ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი ა. ტორსიანი, საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს საზკვების სამმართველოს უფროსი ნ. ფინამძღვრიშვილი, ქუთაისის სასადილოების ტრესტის № 16 სასადილოს მზარეული, ორდენოსანი ბ. ტორშელიძე, სოხუმრეწვვაჭრობის უნივერმაღის გამყიდველი თ. ჰედია, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის უფროსი გამყიდველი ე. ჯაფარიძე, ცხინვალვაჭრობის რესტორან „ირისთონის“ მზარეული, ორდენოსანი ჰ. ზუბაშვილი, ხობის რაიკავშირის თავმჯდომარე თ. გოგინავა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სანიმუშო მომსახურება მომხმარებელს

წელს ვაჭრობის მუშაკის დღე აღინიშნება განსაკუთრებულ ვითარებაში, როცა ჩვენი დიდი სამშობლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ზეიმისათვის ემზადება.

ეს გარემოება ვაჭრობის მუშაკებს მაღალ პასუხისმგებლობას აკისრებს, მოითხოვს მათგან შემოქმედებითი ძალების მაქსიმალურად დაძაბვას, რათა უზრუნველყონ ყველა სახელმწიფო დავალების, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების პირნათლად შესრულება და მშრომელთა უნაკლო მომსახურება.

ვაჭრობა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. 50 წლის განმავლობაში სხვა დარგებთან ერთად ვაჭრობა დიდად განვითარდა ჩვენს რესპუბლიკაში.

1925 წელს საქართველოში სულ საცალო ვაჭრობის 1.445 და საზოგადოებრივი კვების 63 საწარმო იყო. 1967 წლის 1 ივნისისათვის კი რესპუბლიკაში მოქმედებდა საცალო ვაჭრობის 13.290 და საზოგადოებრივი კვების 4.849 საწარმო.

1925 წელთან შედარებით საცალო ვაჭრობის ქსელი გაიზარდა 21-ჯერ, ხოლო საზოგადოებრივი კვებისა — 75-ჯერ. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით დიდი მუშაობაა გაწეული ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამჟამად საცალო ვაჭრობაში სამუშაო ადგილების რაოდენობა 1959 წელთან შედარებით რესპუბლიკაში გაიზარდა 42,4 პროცენტით, საზოგადოებრივ კვებაში — 66 პროცენტით, საერთო სასაქონლო საწყობების ფართობი — 33 პროცენტით, სპეციალიზებული საწყობების მოცულობა — 67 პროცენტით, ხოლო გამანაწილებელი მაცივრებისა — 169 პროცენტით. კოლოსალურად გადიდდა საქონელბრუნვა. მარტო თბილისის სავაჭრო ორგანიზაციების საქონელბრუნვა ამჟამად 100-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე მთელი რესპუბლიკის საქონელბრუნვა იყო 1924 წელს.

ეს მიღწევები ვაჭრობაში მოპოვებულია იმ გრანდიოზულ წარმატებათა საფუძველზე, რომლებსაც საქართველოს მშრომელებმა მიაღწიეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ვაჭრობის ასეთი ტემპით განვითარება ერთხელ კიდევ ნათლად მოწმობს იმ დიდ ზრუნვას, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისათვის.

მიუხედავად იმ. დიდი ღონისძიებებისა, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების დარგში განხორციელდა, მისი განვითარების ტემპები მაინც ჩამორჩება საქონელბრუნვის ტემპებს: საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწყობების, მაცივრების, პროდუქტსაცავების ქსელი რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არასაკმარისია.

ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, ამავე დროს ვაჭრობის პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვის გზით უნდა მივაღწიოთ არსებული ქსელის გამგარუნაირიანობის მნიშვნელოვნად გადიდებას. რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ ბაზების მშენებლობისათვის განკუთვნილი თანხები.

უნდა მოწესრიგდეს სავაჭრო ქსელის დისლოკაცია, არ უნდა დაგუშვათ სავაჭრო ქსელის განვითარების არასწორი დაგეგმვის ფაქტები.

ყველა ქალაქს, ყველა დასახლებულ პუნქტს უნდა ჰქონდეს სავაჭრო ქსელის განვითარების პერსპექტიული გეგმა, რომელიც ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების განვითარების პერსპექტიული გეგმების განუყოფელ ნაწილს უნდა შეადგენდეს.

ვაჭრობის მუშაკთა მთავარი საზრუნავია მოსახლეობის მოთხოვნილების ღრმად შესწავლა, მრეწველობისათვის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაზე სწორი განაცხადების წარდგენა, ბრძოლა საქონლის მაღალი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტისათვის, ვაჭრობის მოწყობა მაღალ კულტურულ დონეზე.

ვაჭრობის მაღალი კულტურისა და საქონელბრუნვის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა უნდა დავიწყოთ ძირეული რგოლიდან — საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებიდან, თუ ამ საწარმოებში წესრიგი გვექნება, საქონელბრუნვის გეგმებიც და ყველა სხვა მაჩვენებელიც ვაჭრობაში წარმატებით შესრულდება.

საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოები ის ობიექტებია, რომელთა საშუალებით ყოველდღიურად მილიონობით საბჭოთა ადამიანს ვემსახურებით. ამიტომ ამ საწარმოებში ყოველი ზარვეზი, ნაკლი თვალში ეცემა ადამიანს.

სავაჭრო საწარმოების ზოგიერთ ხელმძღვანელს ეს ნათლად არა აქვს შეგნებული, ცუდად ასრულებს თავის მოვალეობას, ყურადღებას არ აქცევს სავაჭრო შენობის მდგომარეობას და სანიტარულ წესრიგს, სუსტად უწევს კონტროლს გამყიდველების, მიმტანების და სხვა რიგითი მუშაკების საქმიანობას. ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც ზოგჯერ სათანადო კონტროლს არ უწევენ სავაჭრო საწარმოთა მუშაობას, მტკაცე მომთხოვნელობას არ იჩენენ სავაჭრო საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ, არ ზრუნავენ ამ საწარმოებში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ აძლევენ ამ პირებს, რომლებიც მხილებული არიან ვაჭრობის წესების დარღვევაში.

სავაჭრო ორგანიზაციებმა და საწარმოებმა უნდა გააცხოველონ მუშაობა ისეთი ღონისძიებების უფრო აქტიურად გატარებისათვის, როგორიც არის სამრეწველო საქონლის ცალკეული ჯგუფებისა და კულინარიული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა, სამრეწველო და სასურსათო საქონლის საცალო ბაზრობების მოწყობა, საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოების დათვალიერება-კონკურსების მოწყობა და სხვ.

რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოებს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების სრულყოფისათვის. ხორციელდება სერიოზული ღონისძიებანი სავაჭრო ქსელის სპეციალიზაციის დარგში, სულ უფრო იზრდება საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი, რომლებიც მუშაობის პროგრესულ ფორმებს იყენებენ.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობაში პროგრესული ფორმების დანერგვა — როგორც ქალაქად, ისე სოფლად ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს. განსაკუთრებით ჩამორჩება საცალო ვაჭრობის ქსელის თვითმომსახურებაზე გადაყვანა.

ამ საქმეში ხშირად შესამჩნევია ფორმალიზმი. ჩანს, ვაჭრობის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკიც კი დღემდე არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ვაჭრობის პროგრესული მეთოდების დანერგვა, თუ სწორად არის განხორციელებული, შესაძლებლობას იძლევა უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ სავაჭრო ფართობი, გავადიდოთ ვაჭრობის საწარმოთა გამტარუნარიანობა და საქონელბრუნვა, შევამციროთ მიმოქცევის ხარჯები და ა. შ.

ვ. თოხაძე,
საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი.

უმოკლეს ვადაში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ვაჭრობის პროგრესული ფორმები უფრო ფართოდ და გაბედულად დაინერგოს ჩვენი რესპუბლიკის სავაჭრო ქსელში.

საზოგადოებრივი კვების შემდგომი გაუმჯობესების საკითხი ახლახან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სპეციალური მსჯელობის საგანი იყო.

საზოგადოებრივი კვების მუშაკები მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდონ პლენუმის გადაწყვეტილების შესრულების საქმეს იმ ვარაუდით, რომ სასადილოში დამზადებული კერძი თავისი ხარისხითა და გემოთი არ ჩამოუვარდებოდეს ოჯახში დამზადებულს, ფასები ხელმისაწვდომი იყოს, ხოლო მომსახურების კულტურა მაღალი. მშრომელთა ფართო მასებს საშუალება უნდა მივცეთ ისარგებლონ საზოგადოებრივი კვების ობიექტების მომსახურებით ყველა ფაბრიკა-ქარხანაში, მშენებლობაზე, დაწესებულებაში, სასწავლებელში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, საველე ბანაკში, საძოვრებზე, სამრეწველო საწარმოებში, საერთო-საქალაქო სასადილოებში, კაფეებსა და რესტორნებში.

საზოგადოებრივი კვების განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკაში ბევრი ახალი საწარმო — სასადილო, კაფე, რესტორანი, სასაუზმე გაიხსნა, ქსელი აღიჭურვა თანამედროვე სამაცივრო-ტექნოლოგიური და სავაჭრო მოწყობილობით და ინვენტარით, მეტი ყურადღება ეთმობა კერძების ასორტიმენტის შერჩევასა და ხარისხის გაუმჯობესებას და საერთოდ მუშაობის კულტურის დონის ამაღლებას. მაგრამ ყველაფერი ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ საზოგადოებრივ კვებაში საჭირო ეფექტს მივაღწიოთ. უწინარეს ყოვლისა აუცილებელია მუშაობის ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანა. მხედველობაში მაქვს საზკვების საწარმოთა მომარაგება ნახევარფაბრიკატებით, ყველა შრომატევადი სამუშაოს მექანიზაცია, კულინარიული ნაწარმის დამზადებაზე დროის მაქსიმალური შემცირება და სხვ.

საზოგადოებრივი კვების მუშაკებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა მომსახურების პროგრესული მეთოდების უფრო ფართოდ დანერგვისათვის, საოჯახო სამზარეულოების, კულინარიული, ნახევარფაბრიკატების მაღაზიების ქსელის გაფართოებისათვის. თბილისში გვაქვს რამდენიმე საოჯახო სამზარეულო, მაგრამ მათ მომხმარებელი არ ეტანება, კერძები სრულფასოვანი ვერ არის.

მოსახლეობის მომსახურების სფეროს გაუმჯობესება ჩვენი პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს საზრუნავს წარმოადგენს. მიმდინარე ხუთწლედში უზრუნველყოფილ უნდა იქნას მოსახლეობის მიერ კვების პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის მოხმარების ისეთი გადიდება, რომ სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭრო ქსელის მეშვეობით გაყიდვა სულ ცოტა 1,4-ჯერ გაიზარდოს.

ამასთან დიდი ყურადღება ექცევა მომხმარებლის სტრუქტურის გაუმჯობესებას. ამ მხრივ ჩვენი მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მრეწველობის იმ დარგებთან, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს უშვებენ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, მრეწველობა ვერ ასრულებს ყველა ჩვენს მოთხოვნას, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციები ზოგჯერ ვერ იჩენენ მათ მიმართ საჭირო პრინციპულობას მაშინაც კი, როცა საკითხი საქონლის შეთანხმებული ასორტიმენტისა და მოცულობის გეგმის შეუსრულებლობას შეეხება.

გაფლანგვა-დატაცებასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა. მიუხედავად ამისა, გასულ წელს დიდი თანხის გაფლანგვის რამდენიმე ფაქტი იყო. ზოგან ამ საკითხს მთელი სიმწვავით არ უდგებიან, არ ახორციელებენ ყველა იმ ღონისძიებას, რასაც ჩვენგან ზემდგომი ორგანოები მოითხოვენ.

რესპუბლიკის ვაჭრობის მუშაკებმა მიმდინარე წლის 6 თვის საქონელბრუნვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

რესპუბლიკაში ბევრი გვაქვს სავაჭრო საწარმოთა და ორგანიზაციათა მოწინავე კოლექტივები, მოწინავე მუშაკები, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი მოვალეობა და მუშაობაში საუკეთესო შედეგებს აღწევენ. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ რუსთავვაჭრობის, თბილგასტრონომვაჭრობის, საქიუველრივაჭრობის, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის, თბილისის კაფეებისა და რესტორნების ტრესტის რესტორან „საქართველოს“, თბილისის მაუდქამოლის კომბინატის, დიმიტროვის სახელობის ქარხნის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის, ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის სასადილოების, საბითუმო ბაზრების — „საქფეხსაცმელვაჭრობის“, „საქტანსაცმელვაჭრობის“, ახალციხის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, მახარაძის რაიკავშირების კოლექტივები და ბევრი სხვა.

კარგი მუშაობით თავი ისახელეს: თბილისის ცენტრალური უნივერმაღის უფროსმა გამყიდველმა ჩაგელიშვილმა, მეორე უნივერმაღის უფროსმა გამყიდველმა ორაგველიძემ, მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 16 მაღაზიის გამყიდველმა ბერიბიაშვილმა, რუსთავის სასადილოების ტრესტის № 18 სასადილოს უფროსმა მზარეულმა ჩაჩხიანმა, სოხუმის სასადილოების ტრესტის № 15 სასადილოს მზარეულმა ვორობოვამ, სოხუმრეწვვაჭრობის № 57 მაღაზიის უფროსმა გამყიდველმა კაციამ, ბათუმის სასადილოების ტრესტის ოფიციანტმა ჩხაიძემ, ცხინვალვაჭრობის გამყიდველმა გასიევამ, საქვაჭრობის ზუგდიდის გასტრონომიის მაღაზიის გამყიდველმა თევზაიამ. კარგი მუშაობით თავი გამოიჩინეს რაიკოოპკავშირების გამგეობების თავმჯდომარეებმა მუმლაძემ, აბაშიძემ, სიხარულიძემ, დათუნაშვილმა, მახარაძის ნასაკირალის მუშათა კოოპერატივის № 2 აგრორაიონის მაღაზიის გამგემ როხაძემ, წყალტუბოს რაიკავშირის საქონელმცოდნემ ქუთალაძემ და ბევრმა სხვამ.

საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის 6.870 მუშაკი ჩაბმულია კომუნისტური შრომის ბრიგადებში, 883 კაცი დაჯილდოებულია „საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებულის“ ნიშნით, 90 კაცი — ორდენებითა და მედლებით, 105 კაცი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით, 26 კაცს მინიჭებული აქვს სპპატიო წოდება „ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი“ და 12 კაცს — „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“, ხოლო სამი კაცი სოციალისტური შრომის გმირია.

ასეთივე მაღალი მაჩვენებლები აქვთ რესპუბლიკის კოოპერაციის მუშაკებს, რომელთა სასახელოდ უნდა თქვას, რომ მათ ზედიზედ მოიპოვეს დიდი გამარჯვებები (გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია) საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დარწმუნებული ვართ — რესპუბლიკის ვაჭრობის მუშაკთა მრავალათასიანი არმია თავდადებით იშრომებს იმისათვის, რომ გადაჭარბებით შეასრულოს საიუბილეო წლის გეგმა და ვალდებულება, კიდევ უფრო გააუმჯობესებს მოსახლეობის მომსახურების კულტურას და ღირსეულად შეხვდება დიდ დღესასწაულს — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

ჰ. ვარნაკეს გადაეცა საერთაშორისო ლენინური პრემია

22 ივლისს კრემლში „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია გადასცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადო მოღვაწეს ჰერბერტ ვარნკეს.

(საკდესი).

ვაჭრობის მუშაკთა დიდი არმია მეორედ აღნიშნავს თავის დღესასწაულს — ვაჭრობის მუშაკის დღეს.

22 ივლისს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა ვაჭრობის მუშაკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე დ. მ. მამულაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ვაჭრობის წარჩინებული მუშაკები.

სხდომა გახსნა სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ტატვინიძემ.

მოხსენება „ვაჭრობა საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე“ გააკეთა რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრმა ვ. ზ. თოხაძემ.

შემდეგ გამოაცხადეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის, ცეკავშირის გამგეობისა და ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივი დადგენილება „ვაჭრობის მუშაკების დაჯილდოებულნი არიან სამკერდე ნიშნებით „საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებული“, „საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციის წარჩინებული“ და საპატიო სიგელებით. ვაჭრობის მუშაკთა დიდ ჯგუფს მადლობა გამოეცხადა. ვაჭრობის ზოგიერთი მუშაკის სახელი შეტანილია საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის საპატიო წიგნში.

ვაჭრობის 48 ახალგაზრდა მუშაკი დაჯილდოებულია საქართველოს აკკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით.

სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

(საქდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურ საბჭოში

საბჭოთა ხალხის შრომითი მამაცობის სიმბოლო

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების კოლექტივებისათვის სამახსოვრო დრშების დაწესების შესახებ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელმა ფართოდ გააჩაღეს საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად. საბჭოთა ხალხის მაღალი პოლიტიკური აქტივობა, შემოქმედებითი ინიციატივა და თავდადებული შრომა მიზნად ისახავს სკკპ პროგრამითა და პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით განსაზღვრული კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელებას. ემზადებიან რა სახელოვანი რევოლუციური იუბილეს შესახვედრად, საბჭოთა ადამიანები ენერგიულად მუშაობენ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და შრომის საყოფიერების გასაღიდებლად, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დასანერგავად, ახალ სიმძლავრეთა უსწრაფესად ასამუშავებლად და ასათვისებლად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და თვითღირებულების შესამცირებლად. ღირსშესანიშნავი რევოლუციური დღესასწაულის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა პატრიოტიზმს, მთელი ხალხის მისწრაფებას აღნიშნოს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი ახალი მიღწევებით ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა კოლექტივების შრომითი წარმატებების აღსანიშნავად, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს დიდი ოქტომბრის იუბილესათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში და დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ დაწესეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1.000 სამახსოვრო დრშა, როგორც სიმბოლო შრომითი მამაცობისა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა კოლექტივებს, რომლებსაც საპატიო დრშები მიენიჭებათ, აგრეთვე მიეცემათ საერთო საკავშირო ფულადი პრემიები იმ კოლექტივებისათვის დადგენილი ოდენობით, რომლებიც სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით ჯილდოდებიან.

ამავე დროს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად დაწესებულია აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დრშები იმ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების დასაჯილდოებლად, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს კომუნისტური მშენებლობის საქმეში, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

სამახსოვრო დრშები ენიჭებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით.

საწარმოების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობებისათვის სამახსოვრო დრშების და ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით საერთო საკავშირო პრემიების მინიჭებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მათი რევოლუციური დამსახურება და დამსახურება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

დადგენილია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებას სამახსოვრო დროშის მინიჭების შესახებ აცხადებენ და ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს ჯილდოს გადასცემენ საზეიმო სხდომებზე, კრებებზე, მიტინგებზე.

სამახსოვრო დროშები სამუდამოდ რჩებათ და როგორც სიმბოლო შრომითი მამაცობისა ინახება სპეციალურად განკუთვნილ ადგილებში, სადაც ყველას შეუძლია ნახოს.

გულითადად ულოცავენ

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს **გამალ აბდელ ნასერს** გაუგზავნეს მისალმება, რომელშიც საბჭოთა ხალხის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მიეფერეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს, ხალხსა და მთავრობას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის 1952 წლის 23 ივლისის რევოლუციის მე-15 წლისთავი.

მისალმებაში აღნიშნულია, რომ 23 ივლისის რევოლუციამ დასაბამი მისცა ეგვიპტელი ხალხის მძლავრ მოძრაობას ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან თავისუფალი ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის საბრძოლველად. საბჭოთა ადამიანები არაბ ხალხთან ერთად დღესასწაულობენ ამ რევოლუციის 15 წლისთავს და კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ამ რევოლუციის შემდეგ განვლილ წლებში განხორციელდა მტკიცდებოდა და ვითარდებოდა სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა, რომლებსაც საფუძველად უდევს საერთო მიზნები იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისათვის, პროგრესისა და საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლაში.

თავისი რევოლუციის 15 წლისთავს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი აღნიშნავს ომის მოტრფიალე იმპერიალისტური წრეების მიერ წაქეზებული ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლის პირობებში, როცა ეს წრეები ცდილობენ შეაჩერონ თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის საქმის ისტორიული წინსვლა.

მისალმებაში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირი სავსებით უქერს მხარს არაბი ხალხების სამართლიან საქმეს და რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიის, „ალჟირის, ეგიპეტის და სხვა არაბული ქვეყნების ხალხთა თანამშრომლობა ეროვნული დღესასწაული — რევოლუციის დღე.

საბჭოთა პროფკავშირები სრულ სოლიდარობას უცხადებენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული ხალხების სამართლიან საქმეს. საკავშირო პროფსაბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ ჩვენი ქვეყნების ძმური მეგობრობისა და ფრატერნალური მეგობრობის თანამშრომლობის ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და ყოველმხრივ განვითარდება.

(საკდესი).



დიდი ზეიმი ანასეულში

მახარაძე. (საკ. კორ.). მეჩაიეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სრულიად საკავშირო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოდდა ბრონზის медალით. წლიური გეგმა კი შესრულებულია 76,3 პროცენტით.

ამ წარმატებებში თავი ისახელეს ოჩამჩირისა და გალის რაიონებმა. ოჩამჩირეში, როგორ ეს ცდილობენ შეაჩერონ თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის საქმის ისტორიული წინსვლა.

მისალმებაში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირი სავსებით უქერს მხარს არაბი ხალხების სამართლიან საქმეს და რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიის, „ალჟირის, ეგიპეტის და სხვა არაბული ქვეყნების ხალხთა თანამშრომლობა ეროვნული დღესასწაული — რევოლუციის დღე.

საბჭოთა პროფკავშირები სრულ სოლიდარობას უცხადებენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული ხალხების სამართლიან საქმეს. საკავშირო პროფსაბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ ჩვენი ქვეყნების ძმური მეგობრობისა და ფრატერნალური მეგობრობის თანამშრომლობის ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და ყოველმხრივ განვითარდება.

(საკდესი).

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ საბჭოთა მუშებისა და მოსამსახურეების სახელით გულითადად მიეფერა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შრომის ფედერაციას და ამ ქვეყნის მთელ მუშათა კლასს ეროვნული დღესასწაული — რევოლუციის დღე.

საბჭოთა პროფკავშირები სრულ სოლიდარობას უცხადებენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არა

ვაჭრობა ხალხის კეთილდღეობის სამსახურში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია მთელი სახალხო მეურნეობის, მათ შორის ვაჭრობის განვითარებაში. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განუხრელი ზრდა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება რესპუბლიკაში ვაჭრობის განვითარების საიმედო საფუძველი გახდა.

განუწყვეტლივ ფართოვდება და მტკიცდება ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თუ 1928 წელს აფხაზეთში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სულ 105 საწარმო ითვლებოდა, 1967 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში იყო 2215 სავაჭრო ობიექტი, მათ შორის სახელმწიფო ვაჭრობისა 1386 და სამომხმარებლო კოოპერაციისა 829.

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა სასაწყობო ქსელის განვითარებისათვის. ახლა მარტო აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაშია სასურსათო და სამრეწველო საქონლის 52 საწყობი, მაცივარი, კარტოფილსაცავი და ხილისსაცავი.

მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ სპეციალიზებულ სავაჭრო ორგანიზაციებში წლითიწლობით იზრდება საქონელბრუნვა, უკეთ არის ორგანიზებული სასურსათო და სამრეწველო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლა, ფართოვდება საზოგადოებრივი კვების სპეციალიზებული მაღაზიებისა და საწარმოების ქსელი, ფართოდ ინერგება მუშაობის ახალი პროგრესული მეთოდები — თვითმომსახურება, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში თვითმომსახურება ღირებულების შემდგომი გადახდით, ვაჭრობა საქონლის დიდ გამოტანითა და ნიმუშებით სამრეწველო საქონლის მაღაზიებში, საქონლისა და სადილების შინ მიტანა მომხმარებელთა შეკვეთით და სხვ.

საიუბილეო წლისათვის მარტო აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში იყო 152 სპეციალიზებული მაღაზია და ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 210 საწარმო, რომლებსაც პრაქტიკაში შემოღებული აქვთ მომსახურების ახალი პროგრესული მეთოდები, ე. ი. მათი საერთო რიცხვის მიმართ — შესაბამისად 59,9 და 42,9 პროცენტი.

ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების, ქსელის სპეციალიზაციისა და ვაჭრობის ახალი ფორმების დანერგვის შედეგად გადიდდა გამტარუნარიანობა და საქონლის გავლა. 1966 წელს რესპუბლიკაში მოსახლეობას მიეყიდა 195 მილიონი მანეთის საქონელი, ე. ი. 16 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1965 წელს.

1967 საიუბილეო წელს აფხაზეთის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკთა მრავალათასიანმა კოლექტივმა იკისრა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი — ახალი მაღალი მაჩვენებლებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ვაჭრობის ცალკეულ მუშაკებს, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების კოლექტივებს შორის.

ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მარტო აფხაზეთის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში არსებულთა დამატებით გაიხსნა 5 მაღაზია და საზოგადოებრივი კვების 13 საწარმო 650 ადგილით; საექსპლოატაციოდ გადაეცა ბევრი ახალი ავტოლიონი და კიოსკი, მთელი რიგი ობიექტები გაფართოებული და რეკონსტრუირებული. მომხმარებელთა მოთხოვნილების გათვალისწინებით; 6 მაღაზია გადაყვანილია სპეციალიზებულ ვაჭრობაზე და 10 მაღაზიაში დანერგილია ვაჭრობის ახალი ფორმები; სპეციალიზებულია საზოგადოებრივი კვების 18 საწარმო და 8 სახადილოში შემოღებულია მეთოდი თვითმომსახურებისა ღირებულების შემდგომი გადახდით; მოეწყო ნახევარფაბრიკატებისა და კულინარიული ნაწარმის 32 გამოფენა-გაყიდვა, შეიქმნა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 6 საჩვენებელი საწარმო; დროულად ამოქმედდა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ის საწარმოები, რომლებიც ზამთრის პერიოდში კონსერვაციაში იყო; გაფართოებულია წვრილსაცალო დატარებითი ვაჭრობის ქსელი და სხვ.

წარმატებით წარმოებს მუშაობა საიუბილეო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადასაცემად. ამას წინათ ახალ ათონში გაიხსნა გასტრონომიული მაღაზია 6 სა-

ვისწავლოთ ვაჭრობა

ვ. მარღანია,
აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრი.

მუშაო ადგილით. მთავრდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და ამ დღეებში ამოშავდება რესტორანი ახალ ათონში, კაფე-სასადილო „სასწაული“ და მაღაზიები 23 და 12 სამუშაო ადგილით ქალაქ გაგრაში. დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის მწყობრში ჩადგება სხვა საიუბილეო ობიექტებიც: რესტორანი „ფსოუ“ კურორტ ლესელიძეში, სამი კაფე-სასადილო გაგრაში, ბიჭვინთაში, ოჩამჩირეში, ხილისა და ბოსტნეულის საცავი და საერთო-სასაქონლო საწყობი ბზიფში.

აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკები თავიანთ დღესასწაულს „ვაჭრობის მუშაკის დღეს“ — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს 50 წლისთავის წინ რომ ეგებებიან, ამაყობენ თავიანთი მიღწევებით, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში და განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში. ჩვენ აუკავებული მხარის ქალაქებსა და სოფლებში ახლა უკვე ბევრია პირველხარისხოვანი რესტორანები, მომხმარებლებისათვის მოხერხებული მაღაზიები, კარგი სასადილოები და კაფე-სასაუზმეები.

აფხაზეთი საკავშირო მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერაა. თავისი კურორტებით, როგორიც არის გაგრა, სოხუმი, ახალი ათონი, ბიჭვინთა, გუდაუთა, რიწის ტბა და სხვ., მან სახელი გაითქვა მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ. საიუბილეო წელს საბჭოთა აფხაზეთს ეწვევა ასეულ ათასობით დამსვენებელი, ათასობით უცხოელი ტურისტი. ჩვენს კურორტებზე დასასვენებლად და თავიანთი შრომითი შვებულების გასატარებლად ჩამოვლენ მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, სტუდენტები შორეული აღმოსავლეთიდან, ციმბირიდან, უკიდურესი ჩრდილოეთიდან, ჩვენი სამშობლოს ბევრი ქალაქიდან.

სასიამოვნო გვახდოთ მათი დასვენება, შევუქმნათ მათ მაქსიმალურად მოხერხებული პირობები — აი ვაჭრობის მუშაკთა ძირითადი ამოცანა, რომლის შესასრულებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. უნდა გავაუმჯობესოთ ვაჭრობა, განვავითაროთ ქალაქებსა და სოფელ ადგილებში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი, გავაფართოოთ სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტი, გავაუმჯობესოთ და დავნერგოთ ახალი სავაჭრო ტექნიკა, მუშაობის ახალი პროგრესული მეთოდები და, რაც მთავარია, ავამაღლოთ მომხმარებელთა მომსახურების კულტურა.

აფხაზეთის ვაჭრობის მუშაკები, რომლებიც თავიანთ დღესასწაულს ახალი წარმატებებით აღნიშნავენ, კიდევ უფრო ფართოდ გაიჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებათა უფუოდ შესრულებისათვის, ღირსეულად შეხვდებიან დიად დღესასწაულს — საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს და დაიმსახურებენ მაღალ ჯილდოს — მომხმარებლის გულითად მადლობას.

წუნი წარმოების ლაქაა

ტ. კოგბიძე,
საქართველოს ფეხსაცმელვაჭრობის რესპუბლიკური ბაზის დირექტორი.

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება, კულტურის ამაღლება ვაჭრობის წინაშე სულ უფრო რთულ ამოცანებს აყენებს.

ვაჭრობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა აქტიური ზეგავლენა მოახდინოს წარმოებაზე, იყოს მომხმარებლის წარმომადგენელი მრეწველობის წინაშე და იცავდეს მის ინტერესებს.

საბითუმო ვაჭრობამ უნდა მოამარაგოს საცალო ქსელი სხვადასხვა საწარმოს ნაკეთობათა ფართო ასორტიმენტით, მისცეს მრეწველობას დასაბუთებული შეკვეთები. საბითუმო რგოლი უნდა გახდეს სიმიდო საფარი, რომ ქსელში არ გაიპაროს დაბალი ხარისხის, მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონელი.

საქართველოს ფეხსაცმელვაჭრობის რესპუბლიკურ ბაზას ამ მხრივ სათანადო მუშაობა აქვს გაწეული. უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაძლიერდა კონტროლი პროდუქციის ხარისხზე, დიდი ყურადღება ექცევა ასორტიმენტის გაფართოებას. საწარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ურთიერთკავშირმა თავისი დადებითი შედეგი გამოიღო, თუ 1960-1961 წლებში რესპუბლიკის ფეხსაცმლის ფაბრიკები უშვებდნენ 68 არტიკულის 200-მდე დასახელების ფეხსაცმლის მოდელებს, მიმდინარე წელს გათვალისწინებულია 92 არტიკულის 340-ზე მეტი მოდელის გამოშვება. მკვეთრად გაიზრდება ფეხსაცმლის წარმოება. რესპუბლიკური საწარმოები წელს 1966 წელთან შედარებით 1 მილიონ 200 ათასი წყვილიდან მეტ ფეხსაცმელს გამოუშვებენ.

მიუხედავად ფეხსაცმლის წარმოების ასეთი ზრდისა, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მოთხოვნილებას მაინც ვერ ვაკმაყოფილებთ. მომხმარებელი მოითხოვს ლამაზ, ელასტიკურ, მუშაობის პირობების შესაფერ ფეხსაცმელს. განსაკუთრებულ ნაკლებობას განიცდით ისეთ პროდუქციაზე, როგორიც არის ქალის საშუალო და მაღალქუსლიანი ტუფლები, ქალისა და მამაკაცის ოთახის ფოსტლები, მამაკაცის მოდელური ფეხსაცმელი.

უკანასკნელ წლებში მთელმა რიგმა საწარმოებმა გაუმჯობესეს გამოშვებული ფეხსაცმლის ხარისხი. მაგრამ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ წარმოებიდან არ გამოდიოდეს მოხმარებისათვის უვარგისი პროდუქცია.

მიმდინარე წლის ექვს თვეში შემოწმებულ იქნა 1 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი. მაღალ ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაყვანილ იქნა 52 ათასი წყვილი, საწარმოებს უკან დაუბრუნდათ 42 ათასი წყვილი ფეხსაცმელი. ფაბრიკებს ჯარიმის სახით 24,1 ათასი მანეთი გადავახდევინეთ.

წუნის ტვირთი ჯერ კიდევ საგრძნობია. რესპუბლიკის საწარმოთა მესვეურებს დიდი მუშაობა დასჭირდებათ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ფეხსაცმელვაჭრობის რესპუბლიკური ბაზა დიდ ყურადღებას აქცევს ავრეთვე ფეხსაცმლის ასორტიმენტის საკითხს. ყოველწლიურად ვაწყობთ რესპუბლიკურ ბაზრობას, რის საფუძველზეც იდება სამეურნეო ხელშეკრულებები ერთი მხრივ ჩვენსა და საცალო სავაჭრო ორგანიზაციებს და მეორე მხრივ ჩვენსა და საწარმოებს შორის. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არის ფაბრიკების მიერ ფეხსაცმლის ასორტიმენტის დარღვევის ფაქტები. გასულ წელს რესპუბლიკის საწარმოებმა ვერ ჩაგვაბარეს 929 ათასი წყვილი შეკვეთილი ფეხსაცმელი, სამაგიეროდ ჩაგვაბარეს ისეთი პროდუქცია, რომელზეც მოთხოვნილება არ იყო, ხოლო მიმდინარე წლის ექვს თვეში დაგვაკლეს 406 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

საქართველოს ფეხსაცმელვაჭრობის რესპუბლიკური ბაზა მიმდინარე წლის იანვრიდან გადაყვანილია დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ მეთოდზე. მართალია, ნახევარი წელი მცირე პერიოდია რაიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანისათვის, მაგრამ შეიძლება აღინიშნოს, რომ ახალმა ეკონომიურმა რეფორმამ ჩვენს კოლექტივში აამაღლა მუშაკების პასუხისმგებლობა. ისინი ღრმად სწვდებიან ეკონომიკის საკითხებს, დაკვრის შემდეგ გარკვეულ წარმატებასაც მივაღწევთ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგში, მათ შორის ვაჭრობის განვითარებაში, ადამიანთა ცხოვრებაში ფასდაუდებელ როლს ასრულებენ ინჟინერ-ტექნიკოსები. ეს ადამიანები ეხმარებიან ეკონომიკურ ორგანიზაციებს ტექნიკური ბაზის გაფართოებაში, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის, ავტომატიზაციის, ელექტრიფიკაციის, ავტომობილების, ელექტროენერგიის, ელექტრონული ტექნიკის, ავტომატური ხაზების, ელექტრონული გამოთვლითი მანქანების, ავტომატური ანალიზატორების, ინფორმაციის ავტომატური ძებნის, ავტომატური მართვის, ინფორმაციის ავტომატური დამუშავების, ელექტრონული ტექნიკის

მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმი

ბერლინი, 22 ივლისი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პრეტენზია იყოს მთელი გერმანელი ხალხის ერთპიროვნული წარმომადგენელი, საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე პროგრესის მისაღწევად საჭიროა ყველა სახელმწიფომ ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ნათქვამია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმში, რომელიც აქ გამოქვეყნდა. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალიზაციას, — ხაზგასმულია ყველა მთავრობისა და ხალხისადმი მიმართულ მემორანდუმში.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვილი შტოფის ამა წლის 10 მაისის წერილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ კონრად ადენაუერისადმი შეიცავს წინადადებას დადონ შეთანხმება ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ, განაცხადონ რომ უარს ამბობენ ურთიერთობაში ძალის გამოყენებაზე, ცნონ ევროპაში არსებული საზღვრები და სხვ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებულია პოტსდამის შეთანხმების პრინციპები, აღნიშნულია მემორანდუმში. ახორციელებს რა მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობს არ დაუშვას, რომ დასავლეთი გერმანია ახალი ომის კერა გახდეს. მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა კონრადმა თავის 13 ივნისის საპასუხო წერილში უარი თქვა აწარმოოს მოლაპარაკება ორი გერმანული სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებს შორის.

მემორანდუმში ხაზგასმულია, რომ ბონის პრეტენზიები გერმანელი ხალხის ერთპიროვნულ წარმომადგენლობაზე მიმართულია არა მარტო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, რადგან ბონი აყენებს რევანშისტულ მოთხოვნებს, პრეტენზიას აცხადებს პიტლერული იმპერიის 1937 წლის საზღვრებზე. ამიტომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმ წინადადებათა განხორციელება, რომლებიც ჩამოყალიბებულია 3. შტოფის წერილში, შეეხსაბამება ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია დასასრულ მემორანდუმში, კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა დაამყაროს ნორმალური და თანასწორუფლებიანი ურთიერთობა ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის და განაახორციელოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები მათ ურთიერთობაში.

ასალი საკაერო ტრასით

ოტავა, 22 ივლისი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა „ილ-62“ საპაერო ლაინერმა პირველი ტექნიკური რეისით გაიარა მოსკოვ-მონრეალის ახალი ტრასა 9 საათსა და 34 წუთში.

მონრეალის დორვალის საერთაშორისო პორტში ლაინერის ეკიპაჟს საზეიმოდ შეხვდნენ.

„ილ-62“ თვითმფრინავი გათვალისწინებულია 186 მგზავრისათვის. უახლოეს მომავალში ამ ტიპის თვითმფრინავები რეგულარულად იფრენენ მოსკოვსა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს შორის.

საერთაშორისო ცხოვრება

გენერალური ასამბლეის სესია



ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ გვიან საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგან გ ე ბ ო სესიამ დროებით შეწყვიტა მუშაობა, დაავალა რა ასამბლეის თავმჯდომარეს კვლავ მოიწვიოს სესია, როგორც საჭირო იქნება. რეზოლუცია ამ საკითხზე მიღებულ იქნა 63 ხმით 26 ხმის წინააღმდეგ. 27 დელეგაციამ თავი შეიკავა.

კენჭისყრის შემდეგ გამოვიდა **სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო,** რომელმაც განაცხადა, არის საკმაო საფუძველი კმაყოფილება გამოვთქვათ არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის საკითხის განხილვის მსვლელობის გამოო.

დელეგაციათა დიდმა უმრავლესობამ თავიანთი სახელმწიფოების სახელით ათ თუ იმ ფორმით დაგმო აგრესორი და მის მიერ ტერიტორიების დაპყრობა, დაგმო ძალის გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობაში, მოითხოვა დაუყოვნებლივ გაიწმინდოს დამპყრობლებისაგან არაბთა ოკუპირებული ტერიტორიები.

გენერალური ასამბლეის მიერ იერუსალიმის შესახებ მიღებული რეზოლუციები ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ასამბლეა ვმობს ისრაელის მოქმედებას ამ ქალაქში, არამედ აგრეთვე იმას, რომ გმობს ყველა სხვა ცდას დაეუფლოს არაბული ქვეყნების მიტაცებულ მიწებს.

ა. ა. გრომიკომ ხაზი გაუსვა, რომ გენერალური ასამბლეის მიერ გადაწყვეტილების მიღებას მთავარ საკითხზე — დაპყრობილი ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ — ხელი შეუშალა ისრაელის წამქეზებელი იმპერიალისტური ძალების, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების ჯიუტმა წინააღმდეგობამ.

მან თქვა, რომ თუ შეერთებული შტატები ესწრაფვიან მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში, როგორც ზოგჯერ აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა გაყვანინონ ისრაელს ჯარები დაპყრობილი ტერიტორიებიდან.

იმ პასუხისმგებლობის შეგნებით, რომელიც საბჭოთა კავშირს აკისრია საერთაშორისო პოლიტიკაში, თქვა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, ჩვენ კვლავაც მივუდგებით ახლო აღმოსავლეთში შექმნილი საშიში მდგომარეობის საკითხს. საბჭოთა კავშირი სხვა სახელმწიფოებთან ერთად, რომლებიც ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას იცავენ და მხარს უჭერენ არაბული ქვეყნების სამართლიან საქმეს, რომლებმაც აგრესია განიცადეს, ყოველმხრივ პოლიტიკურ და ეკონომიურ დახმარებას გაუწევს ამ ქვეყნებს.

ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ე. გურინოვიჩმა განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შემდეგმი განხილვა უშიშროების საბჭოში, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე, უნდა ემყარებოდეს იმას, რომ აგრესორმა დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაიყვანოს თავისი ჯარები არაბთა დაპყრობილი ტერიტორიებიდან.

უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ზ. ბელოკოლოსმაც ხაზი გასვა, რომ უშიშროების საბჭომ და გენერალურმა ასამბლეამ შემდგომ მუშაობაში უნდა გაითვალისწინონ თვალსაზრისი დელეგატთა უმრავლესობისა, რომლებმაც მოითხოვეს ალიკვეთოს აგრესია და დაუყოვნებლივ გაიყვანონ ისრაელმა ჯარები დაპყრობილი ტერიტორიებიდან.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ა. გოლდბერგი ისრაელის ჯარების გაყვანას არაბთა დაპყრობილი ტერიტორიებიდან კვლავ უკავშირებდა სხვადასხვა პირობას.

ასეთივე აზრი გამოთქვა **ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ებანმა.** მისმა გამოსვლამ ცხადყო, რომ სესიაზე წარმოებულმა დისკუსიამ ვერაფერი შეაგნებინა ისრაელის წარმომადგენლებს.

ამერიკის შეერთებული შტატების და ისრაელის დელეგატებს საკადრისი პასუხი გასცა **ერაყის წარმომადგენელმა პაჩაჩიმ.**

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწემ საგარეო საქმეებში მ. ფაზმმ მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირს მისი პოზიციის გამო სესიაზე დასკუსიის დროს.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა ჩერნიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მიიღოს გადაწყვეტილება დაპყრობილი ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.

გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ პეუვკამ აღნიშნა სესიაზე წარმოებული დისკუსიის დადებითი მხიშვნელობა. რეზოლუციის მიღება იმის შესახებ, რომ საჭიროა შემთხვევაში სესიამ განაგრძოს მუშაობა, აღნიშნა მან, გამოხატავს დელეგაციების სურვილს განიხილოს და ეძიოს ახლო აღმოსავლეთის პრობლემათა გადაწყვეტის გზები. თავმჯდომარემ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სესიის მუშაობა დროებით შეწყვეტილია.

ჟ. გომგოკოს წერილი უ ტანსადმი

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საკდესი). კინშასის კონგოს საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ბომბოკო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანისთვის გაგზავნილ წერილში იუწყება, რომ პორტუგალიელი კოლონიზატორები აგრესიულ აქტებს სჩადიან კონგოს წინააღმდეგ. იგი წერს, რომ პორტუგალიის თვითმფრინავებმა, რომლებსაც ბაზა აქვთ ანგოლაში, აგრეთვე სამხრეთ როდეზიის თვითმფრინავებმა არა ერთხელ დაარღვიეს კონგოს საჰაერო სივრცე. ისინი ხშირად ბომბავენ კონგოს სასაზღვრო სოფლებს, აღნიშნულია წერილში.

მაგალითად, კისანგანში თეთრკანიან დაქირავებულთა შეკრამდე ცოტა ხნით ადრე იქ დაეშვა თვითმფრინავი, რომლითაც სამხრეთ როდეზიიდან დაქირავებულთა ჯგუფთან ერთად ჩავიდა კონგოს წინააღმდეგ საბოტაჟის აქტის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ინტერვენციის დროს არუს რაიონში კონგოს ჩრდილო-აღმოსავლეთით ცდილობდა დაშვებულიყო უცხოელთის გამოუცნობი თვითმფრინავი, მაგრამ ცეცხლით უკუაგდეს. ამავე დროს კონგოს ნაწილებმა ჩამოაგდეს მეორე გამოუცნობი თვითმფრინავი.

ჟ. ბომბოკომ პროტესტი გამოთქვა ანგოლისა და სამხრეთ როდეზიის ხელისუფალთა მოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ ტერიტორიებზე უშვებენ უცხოელ დაქირავებულებს, მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებისა, რომლებიც ამას უკრძალავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს.

კონგოს მთავრობა, ნათქვამია წერილში, შინაარსი გააცნოს უშიშროების საბჭოს, მოსთხოვოს პორტუგალიასა და სამხრეთ როდეზიას შეატყობინონ, თუ რა ღონისძიებებს ატარებენ უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესასრულებლად და მიაღწიოს იმას, რომ ამ ქვეყნებმა გადასცენ დაქირავებულნი, რომლებთაც ბრალად ედებათ კონგოში ძალმომრეობის აქტები და სხვა დანაშაული. რათა წარდგნენ კონგოს სასამართლოების წინაშე, აგრეთვე ამ ქვეყნებმა დააბრუნონ დაქირავებულთა მიერ გატაცებული თვითმფრინავები. ეს წერილი დღეს გაავრცელა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულმა კონგოს მისიამ.

ეკოგუტუს განცხადება

ბრაზავილი, 22 ივლისი. (საკდესი). დღეს კინშასის კონგოში უნდა გაიმართოს კონგოს მთავრობის სხდომა, რომელიც ეძღვნება ალეირის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას დაკავმაყოფილოს კინშასის კონგოს მთავრობის თხოვნა მოიზ ჩომბეს გადაცემის შესახებ.

ჩვენთვის ჩომბეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ჩვენმა სასამართლომ მას საკადილი მიუსაჯა, განუცხადა გუშინ კორესპონდენტებს კონგოს პრეზიდენტმა მობუტუმ, რომელმაც განმარტა ალეირის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

კონგოსათვის მთავარი პრობლემაა, თქვა მან, უცხოელთა ჩარევა. ჩვენ გვაქვს იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ თეთრკანიან დაქირავებულთა ამასწინანდელი ამბოხება კინსანგანსა და ბუკავუში ითვალისწინებდა სხვა პროვინციებში შეჭრასა და კონგოს ეკონომიკის საბოტაჟს. ის ფაქტი, რომ თეთრკანიან დაქირავებულთა ამბოხების დღეს კისანგანის აეროპორტში გადმოსხდნენ სამხრეთაფრიკელი ოფიცრები, ეჭვს არ იწვევს, რომ კონგოში დაიწყო უცხოელთა ინტერვენცია, თქვა მობუტუმ.

ჩინეთის ამბები

ჩინეთის ოფიციალური პრესა ყოველდღიურად თავის მკითხველებს მიაწოდებს მრავალი მოწოდებით, „მხურვალედ გიყვარდეთ განმათავისუფლებელი არმია“, „ისწავლეთ განმათავისუფლებელი არმიისაგან“, „მხარი დაუჭირეთ განმათავისუფლებელ არმიასო“. ეს მოწოდებანი შემთხვევითი როდია. როგორც პროვინციული გაზეთების ზოგიერთი მასალა მოწმობს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სერიოზული წინააღმდეგობა გამოიწვია იმან, რომ მაო ძე-დუნი და მისი ჯგუფი შეიარაღებულ ძალებს იყენებენ თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასათრგუნვად.

გაზეთმა „ძიღინ ჟიბაომ“ 15 ივლისს გამოაქვეყნა მოწინავე სტატია მრავალმნიშვნელოვანი სათაურით „არ შეიძლება ბრძოლა ვაწარმოოთ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ“. ასახავს რა ახლანდელი მმართველი დაჯგუფების მზარდ შეშფოთებას, გაზეთი ჩივის, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში მდებარე ძიღინის პროვინციაში ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან „თავმჯდომარე მაოს მითითებებს“ და „ცდილობენ ძირი გამოუთხარონ მასებისა და არმიის კავშირს“, „ახლახან, — წერს გაზეთი, — საქმე იქამდეც მივიდა, რომ იერიში მიიტანეს ხელმძღვანელ სამხედრო ორგანოებზე , სცემეს სამხედრო მოსამსახურენი, ხელი იგდეს არმიის ქონება, მათ შორის ავტომანქანები, რომლებსაც ჰქონდათ რადიოდანადგარები მაო ძე-დუნის იდეების პრპაგანდისათვის“.

არმიის ცალკეული ნაწილების წინააღმდეგ მოსახლეობის გამოსვლების შესახებ უკანასკნელ ხანს წერდნენ აგრეთვე „ხეიერუნდიან ჟიბაო“, „ხენან ჟიბაო“ და ჩინეთის სხვა გაზეთები. სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა ხენანის პროვინციაში, რომელიც პეკინის სამხრეთით მდებარობს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ამ დიდ პროვინციაში, რომელშიც ცხოვრობს დაახლოებით 45 მილიონი კაცი, ბევრი მუშა და მოსამსახურე, გამოთქვამს რა პროტესტს პეკინის ახლანდელი ლიდერების პოლიტიკისა და ძაოფანებისა და ხუნვეიბინების ძალადობის წინააღმდეგ, ტოვებენ სამუშაო ადგილებს საწარმოებსა და დაწესებულებებში. ამასთან დაკავშირებით ძაოფანთა პროვინციულმა შტაბმა გაზეთ „ხენან ჟიბაოს“ საშუალებით ხენანის ყველა მუშასა და მოსამსახურეს მიმართა სპეციალური მოწოდებით, რომელშიც სთხოვენ დარჩნენ სამუშაოდ სამრეწველო საწარმოებში და ტრანსპორტზე. მოწოდების ავტორები ამტკიცებენ, რომ მუშები და მოსამსახურენი წარმოებიდან წყვიდნენ იმითი წაქეზების შედეგად, ვინც „პარტიის ხელისუფლების სათავეშია და ადგა კაპიტალისტურ გზას“ — ჩინეთში ასე უწოდებენ ამ პარტიულ მუშაკებს, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ მაო ძე-დუნის პოლიტიკის გამო ან ეშვი შეაქვთ მისი მიზნების „სიდიადეში“ ამ დოკუმენტის ავტორები ამასთანავე მოუწოდებენ მუშა-მოსამსახურეებს გამოაკლინონ და აღკვეთონ იმათი საქმიანობა, ვინც „აქეზებს“ მუშებსა და მოსამსახურეებს „გულში ანთებული ყველაზე წითელი მზის“ — ესე იგი მაო ძე-დუნის წინააღმდეგ.

თვით ჩინეთის არმიაში, როგორც აქ მოსული ცნობები მოწმობენ, აგრეთვე წარმოიბრძოლა მაო ძე-დუნის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. ამ ბოლო ხანს პეკინში კვლავ გაჩნდა ლოზუნგები, რომლებიც მიმართულია თვალსაჩინო მხედართმთავრის, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის თაოსნობისა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ხე ლუნის წინააღმდეგ. ჩინეთის დედაქალაქში სახლების კედლებზე გაკრულია მოწოდებანი „გაიერთიანონ“ ეგრეთ წოდებული „არმიის, ავიაციისა და ფლოტის პროლეტარული რევოლუციონერები“. ადგილობრივი მიმმხილველები ამას მიიჩევენ იმად, რომ უთანხმოებაა არმიის უმაღლეს წრეებში. ამას მოწმობს პეკინის ცენტრალური გაზეთების მიერ 20 ივლისს გამოქვეყნებული ცნობა, რომ ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის მთავარ სამმართველოებში, ჯარების გვარეობათა ხელმძღვანელ აპარატებსა და პეკინის ადგილობრივ ნაწილებში „პარტიის სათაოში, მოდგმის ერთი მუჭა ყველაზე დიდი პირფერის“ წინააღმდეგ ბრძოლა თან ერთად წარიმართა ტრაქტორ „ერთი ... [illegible] ... ტა (ესე იგი ლიუ შაო-ცის მომხრეთა) წინააღმდეგ არმიის მიგნით“.

იმას, რომ არ ცხრება წინააღმდეგობა მაო ძე-დუნის ჯგუფისადმი, მოწმობს როგორც თვით ჩინეთის გაზეთების, აგრეთვე ოფიციალური სააგენტოს. სინხუას ცნობებიც. მაგალითად, ტყუილად როდი წერდა ამ დღეებში „ჟენმინ ჟიბაო“, რომელიც მაო ძე-დუნის ჯგუფის მთავარი რუპორი გახდა, რომ „თუმცა ამხილეს პარტიაში მოკალათებული ერთი მუჭა მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში არიან და კაპიტალისტურ გზას ადგანან“, მაგრამ მათ „რევანშის იმედი არ დაუკარგავთ“. გაზეთი მოითხოვს, რომ „საბოლოოდ უნდა დაამხონ და სახელი გაუტეხონ მხილებულ ან თანამდებობიდან მოხსნილ ყველა ხელმძღვანელს“. „ჟენმინ ჟიბაო“ წერს რომ „სანაგვეზე უნდა გადაუვახონ“ ასეთ პირებს, რაც მაო ძე-დუნის „სტრატეგიული გეგმის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია“ და რომ „ამ ამოცანის შესრულებაზე დამოკიდებული იქნება „კულტურული რევოლუციის“ ბედი“.

სინხუას სააგენტო, 18 ივლისს იუწყებოდა რა პეკინში „ახალი რევოლუციური აღმავლობის“ შესახებ, აცხადებდა, რომ „მხილებული ან თანამდებობიდან მოხსნილი ერთი მუჭა ხალხი არ ურიგდებიან ასეთ ხვედრს, ჯიუტად ეხშრაფვიან რევანშს“ და საფრთხეს უქმნიან „ერთ ეროვნულ „კულტურული რევოლუციის“ მონაპოვრებს“. ცნობის ავტორები წერენ, ამ „ჯგუფის დამხობაზე დამოკიდებულია „კულტურული რევოლუციის“ და თვით... „მთელი კაცობრიობის“ ბედი“.

ამ დღეებში შესრულდა პირველი წლისთავი „მდინარე იანძიში თავმჯდომარე მაო ძე-დუნის ყბადაღებული გაცურვისა“ დროიდან. ამასთან დაკავშირებით ჩინეთის პრესამ მაშინ გააჩაღა შეუნელებელი პროპაგანდისტული საქმიანობა და ხოტბას ასხამდა „თავმჯდომარე მაოს“. ახლა, ამ „ისტორიული მოგზაურნის“ ერთი წლის შემდეგ, პეკინის გაზეთები კვლავ გაიგსო მაო ძე-დუნის ფოტოსურათებით და მრავალი სტატიით, რომლებშიც ავტორები ხოტბას ასხამენ მას. მოწინავე სტატიაში „ჟენმინ ჟიბაო“ წერს: „მაო ძე-დუნი მიაპობდა ბობოქარი მდინარე იანძიის ტალღებს. ამან უდიდესი ძალები შთაბერა მთელ ჩინელ ხალხსა და მთელი მსოფლიოს ხალხებს“. შემდეგ აღარებენ რა „კულტურულ რევოლუციას“ იანძის, სტატიის ავტორები წერენ, რომ ამ „რევოლუციის“ მსვლელობაში მისი „ბაკანა წამომწყებნი“, ესე იგი „ამბოხებული“ ხუნვეიბინები, „გარდაჭრნიან თავიანთ მსოფლმხედველობას“. ამასთან სტატიაში ხაზგასმულია, რომ ჩინეთის ახალგაზრდობის „მსოფლმხედველობის გარდაქმნა“ უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ „თავმჯდომარე მაო ძე-დუნის თეორიის, ხაზისა და პოლიტიკური მითითებების თანახმად“ „კულტურული რევოლუციის“ შესახებ, „თავმჯდომარე მაოს იდეების“ სულისკვეთებით. ამავე დროს სტატიის ავტორები იძულებული არიან აღიარონ, რომ ხუნვეიბინებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, მოქმედებდნენ არმიის დახმარებით, მაო ძე-დუნისა და მისი დამჭაშების პირდაპირი მითითებებით, „კულტურული რევოლუციის“ დროს „მოუვიდათ ესა თუ ის შეცდომა“, რომლებიც უნდა „გამოსწორდეს“.

ჩინელთა „მსოფლმხედველობის გარდაქმნაში“, როგორც სინხუას სააგენტოსა და პეკინის რადიოს ცნობები მოწმობენ, დიდი როლი ეთამაშა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მაო ძე-დუნის პორტრეტებისა და სამკერდე ნიშნების მასობრივ გავრცელებას. როგორც უცხოელი კორესპონდენტები იტყობინებიან, იმოწმებენ რა პეკინის რადიოს ცნობებს, ჩინეთში „კულტურული რევოლუციის“ დაწყებიდან „გამოშვებული იყო მაო ძე-დუნის დაახლოებით 840 მილიონი პორტრეტი“. ეს ნათქვამია რადიოს ცნობაში, „ხუთჯერ აღემატება იმ პორტრეტების საერთო რიცხვს, რომლებიც განვლილ 15 წელიწადში გამოვიდა“. საკდესი, 21 ივლისი.

ფრანგული გაზეთი: ამერიკელები იყენებენ ჩინეთის პროპაგანდას

პარიზი, 22 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პროპაგანდისტული ორგანოები თავიანთ მუშაობაში იყენებენ პეკინის პროპაგანდას, წერს ფრანგული ყოველკვირეული გაზეთი „ტრიბუნ დე ნასიონი“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის საინფორმაციო ორგანოებმა „ფართოდ შეუტიეს განვითარებადი ქვეყნების დელეგაციებს, რისთვისაც იყენებენ პეკინის მიერ გავრცელებულ „მასალებს“.

ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო საგენტოში, განაგრძობს გაზეთი, შეიქმნა ახალი განყოფილება, რომელსაც სპეციალურად დაევალა „შეისწავლოს, გააანალიზოს და ახალი ფორმით გამოიყენოს ჩინეთის პროპაგანდისტული მასალები, რადგან მათ შეუძლიათ შეარყიონ კომუნისტური ქვეყნების პრესტიჟი“.

„ტრიბუნ დე ნასიონი“ აღნიშნავს; ეს განყოფილება იმის გამო შეიქმნა, რომ ჩინეთის გამოდიმები სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ, „თავისუფალი სამყაროს (ე. ი. კაპიტალისტური ქვეყნების — რედ. შენიშვნა) თვალსაზრისით, უფრო ფართო გავრცელების ღირსია, ვიდრე ის, რის უზრუნველყოფაც შეუძლიათ პეკინის პროპაგანდის ორგანოებს“.

თუ დაებრუნდი...

ამერიკელ ჯარისკაცთა წერილები სამხრეთ ვიეტნამიდან

ამ დღეებში ამერიკულმა გამომცემლობამ დატონ ენდ კომპანიმ გამოაქვეყნა ჟურნალისტ ბილ ადლერის მიერ მომზადებული კრებული წერილებისა, რომლის შინაარსი მეტად საგულისხმოა. ეს არის „წერილები ვიეტნამიდან“.

ამ დოკუმენტებს რომ გაეცნობა (რომელთა ნაწყვეტებს ქვემოთ ვაქვეყნებთ), მკითხველი უკეთ წარმოიდგენს, თუ რა ხდება იმ ახალგაზრდა ამერიკელთა სულში, რომლებიც ათასობით კილომეტრ მანძილზე გაგზავნეს იმისათვის, რომ ადამიანები ხოცონ და მათი ქოხები დაწვან. ყველა ესენი სხვადასხვა ადამიანები არიან და სხვადასხვა სული აქვთ. ზოგნი იმას, რაც მათ დაავალეს, უგანცდოდ ეკიდებიან და მექანიკურად აკეთებენ თავიანთ საქმეს. არიან ისეთები, რომლებიც კიდევაც ამაყობენ იმით, რომ „კომუნისტებს ხოცავენ“ მაგალითად, 1-ლი კლასის ჯარისკაცმა დევიდ კალისმა რიხიანად განაცხადა: „ბოლოს და ბოლოს მირჩევნია პარტიზანის ტყვიით მოვკვდე, ვიდრე ატომობილის თვლებს ქვეშ“ (უნდა ითქვას, რომ იგი სწორედ ასე მოკვდა — ტყვიისაგან).

...მაგრამ ასეთების გვერდით არის სხვა, სულ სხვანაირი წერილები, რომლებიც მოგვითხრობენ ღრმა სევდაზე, გაღვიძებულ ეჭვებზე, თავიანთი მოქმედების უსამართლობისა და დანაშაულებრიობის გაგებაზე.

„ის ალარა ვარ რაც წინათ ვიყავი“

„...არასოდეს არ დამავიწყდება ისინი, ვინც დაიღუპა. არასოდეს არ დამავიწყდება სისხლისა და გახრწნილი გვამების სუნი. ჯანსაღად ვარ, მაგრამ ის ალარა ვარ, რაც წინათ ვიყავი, და არასოდეს ალარ ვიქნები ისეთი. თუ ცოცხალი დავბრუნდი, თუ არ მომკლეს, ჭკუაზე შევიმლები...“

(მე-4 კლასის სპეციალისტი კენეტ ბეგბი).

მეორე ჯარისკაცი, კარლ როჯერსი, ომში დაუფიქრებლად მიდიოდა. ფიქრი უფრო გვიან დაიწყო. და აი მისი მწარე დასკვნები მშობლებისათვის გაგზავნილ წერილში:

„...ბენერალი უესტმორლენდი ამბობს, რომ ჩვენ ორნაირი მისია გვაქვს. კომუნისტ აგრესორს უნდა ვეომოთო. შემდეგ იგი აცხადებს, რომ ჩვენი მეორე ამოცანაა დავანახვოთ ვიეტნამელ ხალხს, თუ როგორია თავისუფალი ადამიანი... ეს სიტყვა ახლა ჩემს თვალში სხვანაირად გამოიყურება: მაცვია ფორმა, რომელიც მძულს, ვარ ქვეყანაში, რომელიც იძულებულია მონაწილეობდეს ომში, რომელიც არც მე მიმაჩნია სამართლიანად, მაგრამ ადგილობრივ ადამიანებს უნდა გუშვენებდე, თუ რას ნიშნავს თავისუფალი ადამიანის სახელს ატარებდე. ეს იოლი მოვალეობა როდია...“

ამერიკელი ჯარისკაცები მათთვის მოულოდნელ მოვლენას წააწყდნენ — ხალხი გააფთრებით უწევს წინააღმდეგობას, შესცვალა, იჩენს ძვიათ თავგანწირულებას, შეუდრეკელ მამაცობას, დაწყებული სულ პატარა მოქალაქეთაგან.

„აქ ყველანი ჩვენ წინააღმდეგ არიან“

ეს დაინახა სერჟანტმა ჯონ ნორვუდმა. იგი შინ გაგზავნილ წერილში ლაპარაკობს იმაზე, რასაც წააწყდა. წერს, რომ პარტიზანს შეიძლება შეხვდე კომერსანტის სახით, „ომის სასარგებლოდ მთელ თავის მოგებას რომ იხდის“, ყვავილების გამყიდველის სახით, ამერიკელ ჯარისკაცს ღიმილით ყვავილებს რომ უწვდის, შემდეგ კი გრანატს ან ბომბს უდებს ავტომობილში...

ყოველ დღეს თვალწინ აქვთ ეს სურათები, რომლებიც მოწმობენ მთელი ხალხის წინააღმდეგობას. ზოგჯერ ეს სურათები უაღრესად ტრაგიკულია, როგორიც ის, რაც ჯარისკაც ჯონ ოჰელოვანს უნახავს:

„ზუსტ მიჯდივარ და წინ გვხვდება ქალი, რომელსაც ხელში პატარა ბავშვი ჰყავს. სერჟანტი გვარწმუნებს, რომ ეს საეჭვოა, ვინაიდან ვიეტკონგელები მუდამ იყენებენ ქალებს სამხედრო მიზნებისთვისო. ჩვენ სულ ხუთ მეტრზე ვართ ქალთან, და იგი უეცრად ქვითინს იწყებს. მე არაფერი არ მესმის, სერჟანტი კი თვალის დახამხამებაში კლავს ორივეს — დედასაც და შვილსაც“.

„ეს მათი ქვეყანაა“

მოხალისე დონ კოჰონს კიდევ უფრო მეტი გაუგია:

„ამ ომს ვერ მოიგებ. ეს მათი ქვეყანაა. ვიეტნამში რომ გაიმარჯვო, ხალხს უნდა ებრძოდე, მეტი წილი ჩვენი ჯარები ზღვისპირა ქალაქებში არიან და უმთავრესად ომას აკეთებენ, რომ ასუტბენ შეერთებული შტატების ავტორიტეტსა და მორალურ სახეს. როგორც ამერიკული საზოგადოების წარგზავნილი ჩვენი ჯარისკაცი, სამწუხაროდ, სასახელო ვერ არის“...

უნტერ-ოფიცერი რიჩარდ ელიოტი სხვანაირად მსჯელობს. მას ეჭვები არ აწუხებს, მტკიცე და გარკვეული განზრახვები აქვს, და მის სულში უცნაურად შეთავსებულია ერთმანეთთან მხეცური სისასტიკე და „გულისამაჩუყებელი“ სენტიმენტალობა:

„...აქ, ამ ქვეყანაში, ბევრი რამ არის ლამაზი. მთები, მწვანე ბორცვები, პალმები, მშვენიერი პლაჟები, ომი რომ არ იყოს,ეს ადამიანები და ეს ქვეყანა სულ სხვანაირი იქნებოდნენ, დიახ, ეშმაკმა დალახვროს!... მე ორი ენუები მყავს. მხოლოდ ჭამენ და სძინავთ. ყოველ შემთხვევაში ძალიან კარგები არიან, მე კი მერძნობიარე ვარ. მამიკო, ახლა მე მტკიცედ გადავწყვიტე — გავაკეთებ ყველაფერს, რაც კი შეიძლება, რომ პირისაგან მიწისა აღვგავო ეს არამზადები. აქ დიდხანს მომიხდება ყოფნა, და ღმერთი შეეწიოს იმათ, ვინც აქ ცხოვრობს — მამაკაცს, ქალს, ბავშვს, თუ გზაში შემომყარნენ“.

ამ სტრიქონებს რომ კითხულობ, უნებურად გაგონდება ის, რასაც ასეთ ვითარებაში იწერებოდნენ მეოთხედან საუკუნის წინათ სს-ის ჯარების უნტერები აღმოსავლეთის ფრონტიდან. მათ უყვარდათ თავის მოწონება სენტიმენტალობისადმი მიდრეკილებით: ორ ეგზეკუციას შუა ხაწში კატის კნუტისათვის ხელის გადასმა, ჩასაბერი გარმონის დაკვრა.

ასევეა ეს რიჩარდ ელიოტიც: აღტაცებულია ვიეტნამის პეიზაჟით, და მხოლოდ იქ მოსახელე ადამიანები „უშლიან ხელს“. საზღვარ ქვეითი ჯარის უნტერის სურვილია მოსპოს ისინი უკლებლივ ყველანი.

მკელელის საშინელი და ამაზრზენი ავტოპორტრეტია!

საშინელი და ამაზრზენი, ჭეშმარიტად „ბინძური ომია“, ასეთ ურჯულებს რომ წარმოშობს!

რ. იზმაილოვა,
(ახალი ამბების სააგენტო).

სამხრეთი ვიეტნამი. განთავისუფლების არმიის ნაღმმტყორცნელები საცეცხლე პოზიციას იკავლიან.

ფოტო ვია-საკდესისა.

„თავისუფალ“ სამყაროში

ფეხით მოსიარულეთა დასაცავად

ბელგიის წარმომადგენელთა პალატის ერთერთ სხდომაზე არჩევდნენ საკითხს საგზაო კატ

ჩვენს ყველა-ჟყველაში

გვეტყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

ნაირ-ნაირი

△ ქობულეთი. (საკ. კორ.). დაბა ჩაქვში ზღვის სანაპირო რაიონში ახლახან ააგეს ახალი კეთილმოწყობილი რესტორანი „ჩაქვი“.

△ რუსთავი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელებმა ოქტომბრის საიუბილეო წელს კარგი საჩუქარი მიიღეს: მტკვრის მარჯვენა ნაპირის დასახლებაში გაიხსნა ორსართულიანი სასადილო.

△ ქუთაისი. (საკ. კორ.). ლითოფონის ქარხნის სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის ფილიალში, რომელიც კურორტ საირმეშია, ერთდროულად 15 კაცი ისვენებს. პროფკავშირული საგზურებით წარმოებისაგან მოუწყვეტლივ წყალტუბოს აბაზანებით მკურნალობს 60 ქიმიკოსი. წლის პირველ ნახევარში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში იყო 150-მდე მუშა-მოსამსახურე. წლის ბოლომდე პროფკავშირულ საგზურებს მიიღებს კიდევ ორასზე მეტი ქიმიკოსი.

△ მაიაკოვსკი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რაიონში მხოლოდ ერთი ექიმი და ორი საშუალო სამედიცინო მუშაკი იყო. ახლა მშრომელთა ჯანმრთელობას ემსახურება 64 ექიმი, 180-ზე მეტი საშუალო სამედიცინო მუშაკი, 4 საავადმყოფო, სანატორიუმი, პანსიონატი, ტუბდისპანსერი, სანეპიდსადგური და სხვ. ყველა სოფელშია საექიმო პუნქტი, აფთიაქი, საფერშალო-სამბიო პუნქტი. მთავრდება სამედიცინო ქალაქის მშენებლობა.

ბ. მუკავნაძე.

მოჩუხჩუხე წყაროები

ტყიბული. (საკ. კორ.). სამინლად ცხელა. საადარაკო სოფელ საწრის მისასვლელთან ხალხით სავსე ავტობუსი გაჩერდა. კარი გაიღო, და მგზავრებმა გრანტით მოპირკეთებულ მოჩუხჩუხე წყაროს მიაშურეს. ვინ ყინულივით ცივ წყალს დაეწაფა, ვინ შუბლი გაიგრილა.

—რა მშვენიერი ცივი წყალია, პირდაპირ სიცოცხლეა. მარჯვენა დაელოცოს შენს გამკეთებელს! — თქვეს მგზავრებმა.

დიადი თარიღის შესახვედრად

ადიგენის რაიონის სოფელ წრის სასოფლო კლუბში მოეწყო მშრომელთა შეხვედრა რევოლუციისა და სამამულო ომის ვეტერანებთან. შეხვედრის მონაწილენი გაეცნენ ძველი რევოლუციონერის ვ. ფარულავას და სამამულო ომის ვეტერანების ლ. ბოჩიკაშვილის, გ. კიკაბიძის რევოლუციურ და საბრძოლო საქმიანობას.

მ. ჯოლია.

ასეთი კეთილმოწყობილი არაერთი წყაროა ტყიბულის რაიონში. სოფელ კურსებში, საავტომობილო გზის ნაპრას ყურადღებას იპყრობს შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა. ეს წყაროა. მის ირგვლივ მწვანე ნარგავებია გაშენებული. გრანიტის თლილი ქვისაგან გამოკვეთილია ჩამოსაჯდომი სკამები.

ნაქერალის ქედზე, ხარისთვალის ცნობილი გადასასვლელისაკენ მიმავალი გზით თუ იმგზავრებთ, არაერთ ნაკადულს წაიწყდებით .ამას წინათ აქ გრანიტის წყარო გაკეთდა.

ენგურჰესის მშენებლებისათვის

ზუგდიდი. ოქტომბრის 50 წლისთავის მზადების დღეებში ენგურჰესის მშენებლებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. ძალოვანი კვანძის სამმართველოსთან გაიხსნა ლუდისა და ხილის წყლების ქარხნის ფილიალი. ახალი ფილიალი, დღეში 1.200 ლიტრ მაღალხარისხოვან ლიმონათს უშვებს.

ბ. ალუბიბაია.

თბილისში დაიწყო მოსკოვის მეხუთე საერთაშორისო კინოფესტივალის ფილმების ჩვენება. რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვევნენ კინოხელოვნების მუშაკთა ამ დიდი ფორუმის მონაწილენიც. **სურათზე: შეხვედრა თბილისის აეროპორტში.**

ფოტო ი. მღებრიშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

თბილისის გასტრონომვაჭრობის მაღაზია № 31 მხოლოდ საკონდიტრო ნაწარმით ვაჭრობს. აქ 111,7 პროცენტით შესრულეს საიუბილეო წლის პირველი ნახევრის საქონელბრუნვის გეგმა. ამასთან გამყიდველები მომხმარებლებს თავაზიანად ემსახურებიან, ურჩევენ ნაწარმს, უხსნიან მისი შენახვისა და მოხმარების წესს. ამიტომაც იყო, რომ მაღაზიის კოლექტივს ვაჭრობის მაღალი კულტურისათვის, გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირებისათვის ჯერ კიდევ 1963 წელს მიენიჭა კომუნისტური შრომის საწარმოს სახელწოდება.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სპარტაკიადის დღეები

წინ წარმაჯებებია

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამ უკვე ნახევარი გზა განვლო, შეჯიბრებებს სულ უფრო ემატება სიმძაფრე და დაძაბულობა. მართალია, საქართველოს სპორტსმენთა მაჩვენებლები 22 ივლისისათვის არც თუ ისე სახარბიელო იყო — 49 ქულით მეშვიდე ადგილი, მაგრამ აქვე გვსურს დავძინოთ, რომ ჯერ კიდევ წინ არის მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრები, რომლებშიც უკეთეს წარმატებებს უნდა ველოდოთ.

ყირიმის მიდამოებში დამთავრდა მრავალდღიანი ველოსიპედი. უკან დარჩა ათი დღის შეუპოვარი ბრძოლა. გადალახულია 1500 კილომეტრი. ახლა სპორტსმენები უკვე ანალიზს უკეთებენ განვლილი ბრძოლის შედეგებს. რსფსრ-ის გუნდის გამარჯვება სავსებით კანონზომიერი იყო — იგი თავიდანვე ჩაუდგა სათავეში რბოლას და პირველობაც არავისთვის დაუთმია. ჩემპიონის მიერ ნაჩვენები დრო — 111 საათი, 39 წუთი და 59 წამი ბევრად უკეთესია მომდევნო ორ ადგილზე გამოსული უზბეკეთისა და ესტონეთის სპორტსმენთა კოლექტივების მაჩვენებლებზე. საქართველოს გუნდმა მეცამეტე ადგილი დაიკავა —116 საათი, 13 წუთი და 51 წამი. თუ ამ შედეგს შევადარებთ გასული სპარტაკიადის შედეგებს სპორტის ამ სახეობაში, ერთგვარ პროგრესს შევნიშნავთ —მე-17-დან მე-13 ადგილზე გადმოვინაცვლეთ. მაგრამ სპორტული ტრადიციის ისეთ რესპუბლიკას, როგორიც საქართველოა, ხომ არ შეიძლება წლების მანძილზე აუტსაიდერთა რიგებში ჰყავდეს ველოსიპედისტები? შედარებით სხვა მდგომარეობა გვაქვს ტრაკენი. ო. ფხაკაძის მიღწევებმა მსოფლიო აალაპარაკა, მაგრამ მანამდეც ხომ გვყავდა აღიარებული სპრინტერი დადუნაშვილი, ანდა საგზატკეცილო ველოსიპედისტი ხაბურაშანა და გუნია. რატომ არ შეიძლება საგზატკეცილო და მრავალდღიან ველოსიპედისტებიც ასეთი ტრადიციი დავამკვიდროთ?

მრავალდღიანი ველოსიპედის ოქრის მედალი გადაეცა მოსკოველ ვ. ჩერკასოვს, ვერცხლისა— ა. დოხლიაკოვს (ბელორუსია), ბრინჯაოსი — ა. კულიბინს (რსფსრ).

ჩოგბურთელთა ტურნირზე დაიწყო ფინალური შეჯიბრება ჯგუფების მიხედვით. გუშინ ჩვენს ჩოგბურთელებს შეხვედრა ჰქონდათ რსფსრ-ის ნაკრებთან და გამარჯვეს ანგარიშით 7:3. დღეს კი მატჩი ექნებათ ლატვიის გუნდთან.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში მიმდინარეობს წინასწარი შეხვედრები. საქართველოს გუნდის შედეგები ასეთია: მესაჭით ოთხიანთა შეჯიბრების მესამე რბოლაში — მესამე ადგილი, ორიანებში უმესაჭოდ — მესამე (მეორე რბოლა), ერთიანებში — მეორე ადგილი (მესამე რბოლა). დღეს შედგება ფინალური შეხვედრები.

გუშინ სპარტაკიადაზე დაიწყო კიდევ ერთი ასპარეზობა. ეს გახლავთ თანამედროვე ხუთჰიდი. პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრეში ცხენოსნობაში. საქართველოს ხუთჰიდელებს საკავშირო პირველობისა და საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის კარგი ტრადიცია აქვთ და მათგან შედეგსაც კარგს უნდა ველოდოთ. აი ვინ არიან ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებში: ა. მაროტი, ო. აბესაძე, ი. მურომცევი და ა. კრავჩენკო. გასულ სპარტაკიადაზე საქართველოს გუნდმა მეათე ადგილი დაიკავა. პირადში კი უძლიერესები იყვნენ ი. მურომცევი და ა. კრავჩენკო (მეცხრე და მეათე ადგილები).

გუშინ უკანასკნელი ტურის მატჩი ჰქონდათ ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა კოლექტივებს, ქალბურთელებს კი უკანასკნელი ტურისწინა მატჩები. ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელმა ქალებმა გაიმარჯვეს ლიტვის ნაკრებთან შეხვედრაში — 3:1, ვაჟებმა კი დაამარცხეს თურქმენეთის გუნდი — 3:0. ჩვენმა კალათბურთელმა ქალებმა სძლიეს ბელორუსიის ნაკრებს — 48:40, ვაჟებმა — აზერბაიჯანის გუნდს — 86:48. ლიტვის ვაჟთა გუნდმა მოუგო რსფსრ-ის გუნდს — 67:65, ხოლო ლატვიის ქალთა გუნდმა — მოსკოვის გუნდს 51:34 და ხელი იგდო ლიდერობა.

ვ. გაბელია.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ქულები...

მდგომარეობა 22 ივლისისათვის

1. მოსკოვი — 294 ქულა
2. რსფსრ — 288
3. უკრაინა — 277
4. ლენინგრადი — 225,5
5. ბელორუსია — 214
6. საქართველო — 212
7. ყაზახეთი — 198
8. ლიტვა — 194
9. ლატვია — 186
10. აზერბაიჯანი — 178
11. უზბეკეთი — 174
12. ესტონეთი — 172
13. სომხეთი — 139,5
14. მოლდავეთი — 105
15. ყირგიზეთი — 99
16. ტაჯიკეთი — 74
17. თურქმენეთი — 62

სპორტული ქრონიკა

△ **რომის** ოლიმპიურ სტადიონზე ჩატარდა ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ იტალიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენები. იტალიელმა ველოსიპედისტებმა გააუჯობესეს ოფიციალური მსოფლიო რეკორდი ოთხ კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში.

△ **მოსკოვის** არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელად დანიშნეს ამ გუნდის ყოფილი მოთამაშე სპორტის ოსტატი ა. მამიკინი.

△ ამ სამიოდე წლის წინათ მოსკოველმა ვ. ლოგინოვმა ირკუტსკში ხისსაფარიან ტრეკზე 500 მეტრზე სვლით გიტში დაამყარა მსოფლიო რეკორდი. საჭმოთა სპორტსმენის შედეგი იყო 29,40 წამი. ეს მიღწევა მოხსნა ფრანგმა ველოსიპედისტმა პიერ ტრანტენმა. მან მილანის სახელგანთქმულ ხისსაფარიან ველოდრომზე აჩვენა შედეგი — 28,80 წამი.

ოცდამეორე მოტორალი

მოსკოვში დამთავრდა ოცდამეორე მოტორალის მოტოციკლისტთა საერთაშორისო ფედერაციის მთავარი პრიზის გათამაშება, რომელიც მოიპოვეს ფრანგმა სპორტსმენებმა. საბჭოთა მოტოციკლისტებმა აქამდე ზედიზედ ოთხჯერ დაისაკუთრეს ეს პრიზი, მაგრამ ტრადიციით ამ შეჯიბრებაში მათ უფლება არ ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ როგორც ორგანიზატორი ქვეყნის წარმომადგენლებს. შეჯიბრებაში ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა 16 ქვეყნიდან. „იური გაგარინის პრიზი“ — ყველაზე მრავალრიცხოვანი გუნდისათვის აგრეთვე მოიგეს ფრანგებმა. მოსკოვში 200 ფრანგი სპორტსმენი ჩამოვიდა. და მათ მოიპოვეს პირველი ჯილდო შეჯიბრების ყველაზე ბევრი მონაწილისათვის. „საფრანგეთის პრიზი“ — ყველაზე მრავალრიცხოვანი გუნდისათვის მსუბუქ მოტოციკლებზე მოიპოვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმა. იტალიელებმა პირველობა დაიკავეს მოტოროლერით შეჯიბრებაში, საკლუბო ნათვლაში კი გაიმარჯვეს ლონდონის „ინტერ-მოტორ-კლუბის“ სპორტსმენებმა.

1968 წლის ფეხბურთის თასზე

„ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებმა კარგა ხანია დაიწყეს მომავალი წლის სსრ კავშირის თასის გათამაშებისათვის მატჩები. რუსთავის „მეტალურგი“ შეხვდა კრიმსკის „უროჟაის“ და დამარცხდა ანგარიშით 1:2. ამრიგად, რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელთა გუნდი უკვე წელს გამოეთიშა სსრ კავშირის თასის გათამაშებას.

რეგბისტთა პირველობა

კიევში მიმდინარეობს „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა რეგბიში, რომელშიც მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ათი გუნდი.

თბილისის უნივერსიტეტის რეგბისტთა გუნდმა პირველ შეხვედრაში ანგარიშით 14:6 დამარცხა ლენინგრადის სანიტარული ჰიგიენის სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივი. მეორე ტურში ქართველი სტუდენტები ეთამაშნენ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ძლიერ გუნდს და დამარცხდნენ. მესამე შეხვედრა ჩვენს რეგბისტებს ჰქონდათ მოსკოვის საველოსპორტო აკადემიის გუნდთან. მატჩი დამთავრდა — 6:6.

თვითეულ ქვეკვეფიდან ფინალში ორ-ორი გუნდი გადის. ამიტომ ჩვენი გუნდი კვლავ უნდა შეხვდეს მოსკოვის საველოსპორტო აკადემიის გუნდს. მათ შორის გამარჯვებული უფლებას მოიპოვებს ფინალში მიიღოს მონაწილეობა.

მოსწავლეთა ფინიში

ლენინგრადი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ფინიშის ხაზი „გადაკვეთა“ მოსწავლეთა მეათე საიუბილეო სპარტაკიადამ, რომელიც ლენინგრადის სასპორტო მოედნებზე მიმდინარეობდა. დამთავრდა ასპარეზობები, გამოვლინდნენ ჩემპიონები, გუნდებმა საბოლოოდ თავიანთი ძალისა და შესაძლებლობების შესაფერისი ადგილები დაისაკუთრეს. ბოლო შეხვედრათა შედეგები კი ასეთია:

ფეხბურთში პირველი-მეორე ადგილებისათვის ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და უკრაინის გუნდები. ძირითადმა დრომ უშედეგოდ ჩაიარა. და, როცა მეტოქეთა კარში ხუთ-ხუთი პენალტი დაინიშნა, უკრაინელებმა იმარჯვეს, შეხვედრა მოიგეს — 4:1 და ჩემპიონის სახელიც მოიხვეჭეს.

ტანვარჯიშში პირად პირველობაზე გოგონათა შორის ჩვენი გუნდის წევრმა რ. ბერიკაშვილმა ორი პირველი ადგილი დაიკავა: ორძელსა და თავისუფალ ვარჯიშში. ჭაბუკებს შორის გ. ლოლაძე ტაიჭზე, ორძელსა და რგოლებზე ვარჯიშებში მეორე ადგილებზე გამოვიდა. კლასიკურ ჭიდაობაში მეორე ადგილები მოიპოვეს ა. გეგეჭკორმა (მსუბუქი წონა), ე. დარჩიამ (ქვესაშუალო წონა) და ე. გოგლიჩიძემ (ქვემძიმე წონა), მესამე ადგილი ერგო ბ. გარუჩავას (მეორე საშუალო წონაჯ), ხოლო ძძიმეწონოსანი შ. აბაშიძე მეოთხე ადგილით დამამაყოფილდა. საქართველოს გუნდი მესამე ადგილზე გამოვიდა.

კომპლექსურ ჩათვლაში ჩვენი კალათბურთელები და ფრენბურთელები მეექვსე ადგილებზე გამოვიდნენ. მოკრივეთა გუნდურ შეჯიბრებაში საქართველოს გუნდმა მეხუთე ადგილი მოიპოვა, ფარიკაობაში — მეოთხე, ხოლო ხელბურთში — მეცამეტე ადგილი.

სპარტაკიადის მონაწილე გუნდებს შორის საბოლოოდ ასე განაწილდა ადგილები: რსფსრ, მოსკოვი, უკრაინა, ლენინგრადი, ბელორუსია, საქართველო, ყაზახეთი, ლიტვა, აზერბაიჯანი, ლატვია, სომხეთი, უზბეკეთი, ესტონეთი, ყირგიზეთი, მოლდავეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი.

ბ. ირინაული.

თაღლითები ჩაიჭრნენ

ფელეტონი

თქვენ ვის ელოდებით? — მოკრძალებით ჰკითხა ეთერ ამაშუკელმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დერეფანში უცნობ მოქალაქეს და თვალი თვალში გაუყარა. — შეგამჩნიეთ — აქ დადგანს ტრიალებთ, თუ საქმე გაქვთ, დროზე მოათავეთ, თუ არა და გთხოვთ მოგვცეთ მუშაობის საშუალება...

— ბოდიში, აქ მუშაობთ?

— დიახ, ინსტიტუტის მთავარი ლაბორატორიტა გახლავართ, — წარბშეკვრით გასცა პასუხი და წასვლა დააპირა, — პროფესორმა არ დამინახოს, თორემ ათას რამეს იფიქრებს...

— თქვენი ჭირიმე, თქვენი... გამიგეთ, მენდეთ, — დაუწყო მუდარა უცნობმა.

— ალბათ ბავშვი გყავთ მოსაწყობი?

— ჰო, შენს სახელს ვენაცვალე, მედალოსანია.

მათ მაშინათვე მორიგი შეხვედრის ადგილი დაიქვეს.

ორივე მხარე სიტყვათა მარაგს არ იშურებდა იმისათვის, რომ ერთმანეთის ნდობა დაემსახურებინათ, გულის საიდუმლოებანი კარგად გაეგოთ, დაეზუსტებინათ „ბარჯები“, რაც ვანო ასლანიანის შვილს გზას გაუხსნიდა ინსტიტუტისაკენ...

თათბირ-მოლაპარაკებამ მეტად გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. დმანისელმა ვანო ასლანიანემ ეთერ ამაშუკელს ინსტიტუტში შვილის მოწყობის პირველ შესატან თანხად 3.000 მანეთი დაუსახელა.

ქალმა თანხა იცოტავა და აგდებულად განუცხადა, რა ვქნა, ჯერჯერობით იგმარებსო.

კაცი სიხარულისაგან ჩიტივითი აფრინდა, სოფელში ჩავიდა და სამი საათის შემდეგ თბილისში კვლავ ეახლა თავის „მხსელს“ ე. ამაშუკელს...

— ვანოს სიცოცხლე და გამარჯობა! — შეეგება ეთერი.

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს! წარბი რატომ შეიკარ, ცუდად ხომ არ არის საქმე?

— ისე რა...

— ვიცი, ვიცი, ეს თანხა არ ეყოფა. დანარჩენსაც, როგორც კი ბაგეს გახსნით, მზად ვარ...

დიდი ბოდიშების შემდეგ ვანო არტემის-ძე ასლანიანცმა ეთერ ამაშუკელს პატარა ხელწერილი მოსთხოვა, მეც ცოდო ვარო.

— როგორ გეკადრებათ, ეს ფული მე ლექტორებს უნდა გადავცე, მათ ხომ ხელწერილს ვერ მოვთხოვ, მერე სათოფედ აღარ მიმიკარებენ...

უოფლო ლუკმა ყელს არ ჩაივლის. ასე მოხდა იმ დღესაც. გივი ბენოს-ძე ასლანიანი მისაღებ პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრა. სხვისი იმედით ფონს ვერ გავიდა. ათასებმა ვერ უშველა.

— ღმერთო კი მომკალი, — მერე და ამაზე ღელავთ, ჩაიჭრაო, ალბათ იმ გამომცდელმა ვერ გაუგო ლექტორს. ინსტიტუტიდან საბუთების გამოტანა არ გაბედოთ, ყველაფერი გუშინ საღამოს მოვაგვარე. გივიკო, მომილოცნია: სიაში ხარ... მხოლოდ ტექნიკური მუშაკებისათვის ხუთასი მანეთიღა დამჭირდება...

ეს თანხაც მიუტანეს, მაგრამ გივი ასლანიანი ინსტიტუტში მაინც ვერ მოხვდა.

იმედგაცრუებულმა კლიენტმა ეთერ ამაშუკელს მიცემული თანხის დაბრუნება მოსთხოვა.

— აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია! ნუ ღელავ, შემოდგომაზე სასოფლოში ჩაგრიცხავ, მოიყვან ღვინოს, ჩაის, საზამთროს, პაციდორს... ლხინიც გიყვარს. რა სჯობია სოფლის პეიზაჟებს, სურნელოვან ვაზებს, ჭრეფარე მაჯარს...

მეორე დღეს ეთერ ამაშუკელი საკუთარ ბინაში ვეღარ ნახეს. ცეცხლი მოეკიდა აბიტურიენტსაც და მის მშობლებსაც. დიდი ძებნის შემდეგ ეთერი მისი ძმის სახლში თბილისში, 26 კობრსის ქ. № 7 იპოვნეს.

— არც კი გრცხვენიათ! გეგონათ გაგეპარებოდით? ღმერთო მომკალი, ან როგორ გაიკლეთ ეს ფული?.. ფული? ჯერ ვერ დაგიბრუნებთ. ის კაცი, ვისაც გადავეცი, მოსკოვშია, წასული, ალბათ დაბრუნდება და...

დიდხანს იდგნენ გოგონებული შვილი და მამა.

მეორე ამბავი ასე დაიწყო. ქალბატონო თამარ, რა კეთილი ხარ, არ შემიძლია არ ვეამბორო თქვენს ალაო სახეს! — სიხარულისაგან არ იცოდა, როგორ მოჰფერებოდა მასწავლებელი მ. ნადირაშვილი მის წინაშე ამაყად მდგომ თამარ მაქსიმეს ასულ ჭეიშვილს.

— მართალია, სამედიცინო ინსტიტუტში შენ მიერ მოძებნილ აბიტურიენტს ვაწყობ, მაგრამ ისიც კარგად უნდა იცოდე, რომ მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალია, თორემ ასეთ ვეებერთელა საქმეში ფონს ვერ გავა, თუ...

— ყველაფერი კარგად მესმის! — იყო პასუხი.

—იცოდეთ, იქ ცოტა არა სჭრის...

— მესმის, მესმის...

8.000 მანეთის დათვლას დიდხანს მოუნდნენ. ცხადია, ბნელი გზით „მოგვარებული“ საქმე აქაც საპნის ბუშტს დაემსგავსა.

გაცეცხლებული კასპელი შოთა ალექსანდრეს-ძე მერაბიშვილი მუშტს იბაგუნებდა მკერდზე:

— გოგონა დამიღუპეს. პირველ გამოცდაზევე ჩაიჭრა. ყველა ყველა, მაგრამ მასწავლებელმა ქალმა რომგორ მომატყუა, რატომ მიმიყვანა თაღლითთან?...

თამარ ჭეიშვილმა დაზარალებულს მხოლოდ მცირე ათას სამასი მანეთი დაუბრუნა, დანარჩენს ვერ მოგცემ, აქეთ-იქით სიარულში შემომხარჯაო.

გორის რაიონის სოფელ ქასრეულის საშუალო სკოლის მასწავლებლების თამარ სანაკიძისა და მარიამ ნადირაშვილის, თბილისის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებლის ავთანდილ ალექსანდრეს-ძე ჯანეზაშვილის, თბილისის მე-9 პოლიკლინიკის თანამშრომლის ზარა ილიას ასულ რამაზიშვილის წყალობით თამარ ჭეიშვილმა ბევრი ახალგაზრდა და მისი მშობელი გააცურა ყინულზე...

და ალი თ. ჭეიშვილი ხელებს ასაოსავებს: არაფერი არ მომხდარა, რას მერჩითო.

მეტი რა უნდა მომხდარიყო!

ეთერ ამაშუკელისა და თამარ ჭეიშვილის მსგავსნი, როგორც წესი, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ გამოჩნდებიან ხოლმე და თავიანთ „მოწყალებას“ სთავაზობენ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთ, მათ შშობლებს, მათ გულშემატკივრებს. სამწუხაროდ, ზოგიერთს სჯერა ამ თაღლითებისა.

როგორც დავინახეთ, ნაყოფსაც შეესაფერს იმკიან.

მკითხველი გვეტყვის, უმაღლეს სასწავლებლებში ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა? სამწუხაროდ, ზოგჯერ იქაც მოიძებნებიან ადამიანები, რომლებმაც, მკაცრად რომ ვთქვათ, სინდისი დაკარგეს.

გულსატკივნია, მაგრამ ფაქტია: სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრის ლაბორანტი ვახტანგ კონსტანტინეს-ძე კაჭარავა მოლიკლივე შავი ზღვის პირას ვინმე ბაბუცა ასტამურის ასულ შონიას გაეცნო და დაუკავშირდა:

— ბაბუცი ჩემო! შენ დრო ბევრი გაქვს, ზღვის ნაპირი ვრცელია, ხალიც ზღვასავით ირევა, ათი ყური და ათი თვალი გამოიბი დღეიდან და უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხი მუშტარი მომიძებნე...

— გამიგონია: თავში გარიგება სჯობიაო, — შეეხმაურა ბაბუცი.

— გავრიგდეთ: თითო ათიტარიენტის მოწყობა 2.000 მანეთი, აქედან, როგორც წესი, ორასი მანეთი შენია... მეტი რა გინდა!

ბაბუცემ ზღვის პირას ბევრი იარა თუ ცოტა, ამაოდ, ვერავინ იპოვნა ისეთი, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში ფულით შესვლის სურვილი აღმოაჩნდებოდა. დრო კი არ იცდიდა.

ერთ დღეს ბაბუცი ჩხოროწყუს რაიონს მოვლინა. იქ ორი ახალგაზრდა დ. ს. გულუა და ნ. მ. ცირდავა გაიცნო, სწრაფად ჩასწვდა მათს გულისნადებს.

— რომელ უმაღლეს სასწავლებელსაც დამისახელებთ, იქ იქნებით ჩარიცხული!

ამ სიტყვებმა ახალგაზრდები სოხუმში ჩაიყვანა. № 1 სახლმმართველობის მთავარი ბუხალტრის ბ. ხელაიას სახლი მონახეს. სწორედ მის ბინაში ნ. ცირდავამ და დ. გულუამ ბაბუცი შონიას გადასცეს უმაღლეს სასწავლებელში მოსაყვანი თანხა — თვითეულმა 1.870 მანეთი.

— არც დანარჩენს დაგაკლებთ! — გააფრთხილეს აბიტურიენტებმა.

რამდენიმე საათის შემდეგ იმავე „კოსმპრიგაციულ ბინაში“ ბაბუცი შონიამ ვახტანგ კაჭარავას გადასცა ცხრაასი მანეთი, შაქრად შეგერგოსო, დასძინა.

— დანარჩენი მერე! — თან წასჩურჩულა და გულის სიღრმეში ჩუმი სიხარულით გაიხსენა ქართული ანდაზა, ჭურდის ჭურდი ცხონებულიაო.

დ. გულუა და ნ. ცირდავა მოტყუებული დარჩნენ: სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდაზე ჩაიჭრნენ...

— არ იდარდოთ, ვახტანგი ყოველისშემძლეა! ყველაფერს გამოასწორებს, მანამდე კი ფულის ხელწერილსაც მოგცემთ...

ბაბუცი შონიამ მუქთა ლუკმას ვემო გაუგო. ახლა სოხუმის რაიკომეარაციის № 2 საცხობის ოსტატს ალექსი ლავრენტის-ძე კერძაიას დაუკავშირდა, დობა შეაფიცა. კერძაიას დამთავრებული აქვს მოსკოვის კვების ინსტიტუტი.

— იქ ბევრი ნაცნობი მყავს, შეც მინახე ვინმე, მოგაწყოთ, ზოგი შენ, ზოგი მე, — უთხრა ა. კერძაიამ.

— აბა, ჩემო ბაბუცი, ზღვის პირისკენ გაუსვი...

მისძახოდნენ ვახტანგ კაჭარავა და ალექსი კერძაია თავიანთ მეციქულა, როგორც ძმაკაცები ამბობდნენ, უმაღლესი სასწავლებლის უსელფასო ემისარს.

ბაბუცემ ა. კერძაიასაც მიუყვანა თავისი კერძი. ესენი იყვნენ ხობის რაიონიდან — ბადრი ლევანის-ძე ლატარია და ბადრი ალექსანდრეს-ძე თათარიშვილი. თითოს 1.600 მანეთი გამოსტყუეს. უმაღლესი სასწავლებლის ნაცვლად ჯერ-ჯერობით მათ ყველაზე დიდი სასჯელი დიმსახურეს: სირცხვილი, თავლაფდასხმა, გაკიცხვა.

ჩვენ ამ ფელეტონში ჩამოვთვალეთ ისინი, ვინც ჩვენს ახალგაზრდებს გზაკვალს უბნევს, ვინც უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომლის სპეტაკ სახელს ჩირქსა სცხებს. გვჯერა, რომ თაღლითები, „ბორტმოქმედნი“ საბჭოთა მართლმსაჯულების სამართლიან განაჩენს თავს ვერ დაიძვრენენ, ხოლო სწავლის მძებნელებმა ისმინონ ჩვენი რჩევა: მოღიპული გზით მეცნიერების მწვერვალზე ასვლა შეუძლებელია.

ბ. გვეტაძე,
ა. გოცირიძე.

ოლიმპიადა

ტოკიო 1964

ტელევიზია

23 ივლისი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 11.55 — მხატვრული ფილმი „დაჰკა დაფდაფს!“, 13.00 — „იქნებ თქვენც გააკეთოთ“ (გადაცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 —გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „ეურნალი „ლიტერატურნაია გრუზია“ სტუმრად მეომრებთან“, 17.45 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ბეთჰოვენი უნგრეთში“, 18.05 — „მრგვალი მაგიდის, გარშემო“, 18.30 — კინონარკვევი, 18.40 — ჩვენი სტუმრები, 19.10 —კონცერტი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების მონაწილეობით, 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ მინსკი — „დინამო“ კიევი (გადმოცემა მინსკიდან), 21.45 — ქართული მხატვრული ფილმი „სხვისი შვილები“.

24 ივლისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — „წკრიალა ხმები ლაჟვარდში“ — ბათუმის მუსიკალური სკოლისა და სასწავლებლის მოსწავლეთა კონცერტი, 18.30 — საბჭოთა აკადემიის ეროვნული წელს — სტუდიაში აკადემიის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე რევაზ კომახიძე, 18.45 — რეპორტაჟი აკადემიიდან, 19.35 — კინოჟურნალი, 19.45 — „ახალი ყოფის მესიტყვენი“ — სტუდიაში აკადემიკოსი მწერლები, 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — „ხალისიანი რიტმები“ — ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის თვითმოქმედი საესტრადო კოლექტივის კონცერტი, 20.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.05 — სცენები ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებიდან — ს. ცვაიგი „სახლი ზღვის პირას“, ა. სამსონია „ზღვა. და სიყვარული“, 21.55 — „მშობლიური, დაუშრეტელი“ — აკადემიის ხალხური თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი, 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „მე ვიტყვი სიმართლეს“.

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 15 ს. 35 წ.

ჩვენ ვიცვლოთ, რა ეოვისეირეთ

„ლოკომოტივის“ სტადიონი (ვაკე)

23 ივლისს

სპორტული დღესასწაული

მიძღვნილი საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-4 საიუბილეო სპარტაკიადის გახსნისადმი

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

„დინამო“ ბათუმი — „ლოკომოტივი“ თბილისი

რეგბი

ქართული ჰიდაობა ველორგოლა სარგებ ბილიკებზე

დასაწყისი 16.30 წ.

„კომუნისტი“ — თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93 03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-34, სოფლის მეურნეობის — 9 52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8